№ 203

ოთხშაბათი, 1 ოქტომბერი, 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 203

ოთხშაბათი, 1 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ხარასკევს, 3 ოქტომბერს.

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

## მთავრობის განკარგულებანი

მინისტრთა კომიტეტის, უმაღლესად 1897 წლის 30 მაისს დამტკიცებულ, დადგენილებით, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ნება მიეცა დაამტკიცოს მისმიერ მინისტრთა კომიტეტში წარდგენილი პროექტი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალურ წესდებისა, მასვე მიენდოს ამ წესდებაში საჭირო ცვლილებათა შეტანა და მისი შევსება, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებთან მორიგებისამებრ და აგრეთვე ნება დართოს ასეთ ამხანაგობათა დაარსება ამა წესდების საფუძველით.

ყოველივე ზემოხსენებული მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა 18 ივლისს 1897 წლისას მოახსენა უმაღლესს სენატს და მასვე წარუდგინა 1897 წლის 30 ივნისს დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება მისდა გამოსაქვეყნებლად. *).

*) ამ წესდების ბეჭდვას შემდეგის ნომრიდგან დავიწყებთ.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავადი გ. ს. გოლიცინი ერევნის გუბერნიიდგან, სადაც ის ამ ჟამად იმყოფება, ტფილისში 6 ოქტომბერს დაბრუნდება.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა თითო მან. მისცეს ჯილდოდ ქალაქის იმ მცხოვრებთ, რომელნიც საქონლის ჩუმად ხოცვას სადმე აღმოაჩენენ და ამბავს ქალაქის გამგეობას აუწყებენო. ასეთი ჯილდო არ მიეცემა მხოლოდ პოლიციისა და ქალაქის თვით-მმართველობის მოხელე-მოსამსახურეთ.

*** ორშაბათს, 29 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის განსაკუთრებულმა კომისიამ მეყასბეების თანადასწრებით გადაარჩია ხორცის ნაჭრები და გასავლისა და ღირსების მიხედვით სამ ხარისხად გაანაწილა. ამ დღეებში ქალაქის გამგეობა საცდელად დაჰხოცავს საქონელს, გააცალცალკევებს სხვა და სხვა ხარისხის ნაჭრებს და ყოველ ღირსების ხორცისთვის ცალკე ნიხრს დაადგენს.

*** ქალაქის უძრავ მამულების დაფასების აღმასრულებელი კომისია ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს, განიხილავს პოლიციის მე-3 ნაწილის დამფასებელთა უწყებათ და იმ სახლების პატრონების საჩივარს, რომელთაც განუცხადებიათ, რომ ჩვენი სახლები წესიერად არ არის დაფასებულიო. ასეთი საჩივარი ქალაქის გამგეობას ოცამდის მოსვლია.

*** 29 სექტემბერს, ღამე, პოლიციამ 100 კაცამდის უპასპორტო შეიპყრო ქალაქის ყველა ნაწილში. ამათგან ოსმალეთისა და სპარსეთის ელჩებს წარუდგინა 18 კაცი, ḫ დააპატიმრა, რომ სამშობლოში გაისტუმროს, დანარჩენთ-კი სამგზავრო მოწმობა მისცა სამშობლოშივე წასასვლელად.

*** ორშაბათს, 29 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვიდა ობერ-გოფმეისტერი თავ. ს. ნ. ტრუბეცკოი.

*** გაზ. „ახ. მიმოხილვას" პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ კავკასიის ჯარის მთავარ-სარდალთან დანიშნული საგანგებო მინდობილობათა გენერალი, გენერალ-მაიორი ოდინცოვი დანიშნულ იქმნა—კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის თანაშემწედ. მე-17 მსროლელთა რაზმის უფროსი პოლკოვნიკი პაპოვი—მე-16 საგრენადერო სამეგრელოს რაზმის უფროსად.

ერევნის მაზრის უფროსი სილიჩი ბათუმის ოლქის უფროსის თანამდებობაზედ იქმნა დამტკიცებულიო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის სახელმწიფო პალატის გამგე ბ-ნი ი. ვ. ვერეტენიკოვი ვარშავაში გადაჰყავთო.

*** გაზ. „ტფ. ფურ." სწერენ გორიდგან, რომ მთელს გორის მაზრაში საშინლად არის გავრცელებული ციებ-ცხელება. სოფელი არ არის, რომელსაც ეს ავადმყოფობა არა ჰქონდეს მოდებულიო და შველა-კი არსაიდგან არ არის. სოფლად ექიმები სულ არ არიან, ხოლო ქალაქში ცოტას შეუძლიან ექიმების დახმარებით ისარგებლოს, რადგანაც ავადმყოფთა თავშესაფარი არა გვაქვს. მაზრის ექიმმა ი. ს. ბეზირგანოვმა უკვე იშუამდგომლა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ავადმყოფთა თავ-შესაფარი იქმნას დაარსებული და ამის ნება-რთვაც მოგვივიდა, მაგრამ უფულობის გამო ვერა მოგვიხერხებია-რაო.

*** „ტფ. ფურც."-ს სწერენ პეტერბურგიდგან: „კავკასიის გზათა უწყების ოლქმა წარუდგინა გზათა სამინისტროს მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით ძველის გზების შეკეთებისა, ახლების გაყვანისა და ნავთ-სადგურების შენობათა გასაუმჯობესებელ ხარჯად გამონგარიშებულია 6 მილიონი მანეთი. სამინისტრომ ეს ხარჯთ-აღრიცხვა შესამჩნევად შეამცირა და, 6 მილ. ნაცვლად, ამ მუშაობათათვის $2^1/_2$ მილ. მან. სცნო საკმარისად.

*** გაზ. „Новости" სწერს: მთავრობამ ნება დართო სატელეგრაფო დაწესებულებებში ქალები მიღებულ იქმნენ იმ ანგარიშის კვალობაზედ, რომ ყოველ ასს სულზედ 75 ქალი მოდიოდესო. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ქალებს ნება მიეცემათ საფოსტო კანტორებში ზოგიერთის თანამდებობის აღსრულებისაო.

*** ბათუმი. აქ შესდგა ახალი „ნოქართა ამხანაგობა", რომელსაც აზრად ის ექმნება, რომ თავისს წევრებს სამუშაო გამოუძებნოს და შეძლებისა და გვარად მსურველთ ფული ასესხოს. ახალ ამხანაგობას პირველი კრება ამ სამის თვის წინადა ჰქონდა. ამ კრებაზედ ამორჩეულ იქმნა 10 კაცი, რომელთაც მიანდეს ამხანაგობის წესდების შემუშავება. 20 სექტემბერს ამხანაგობის მეორე კრება მოხდა, რომელზედაც განხილულ და შესწორებულ იქმნა წესდება. ამხანაგობამ დაადგინა იშუამდგომლოს, საცა ჯერ არს, რომ დამტკიცებულ იქმნას ეს წესდება.

### ქალაქის საბჭო.

29 სექტემბერი

კრება დაიწყო $8^1/_2$ საათზედ, დაესწრო 54 ხმოსანი. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ქალაქის თვით-მართველობის მიერ ტფი-

## ფელეტონი

### სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

V

მეაბრეშუმეობა

ერთი უმთავრესი ნაკლი გამოფენის ის არის, რომ მეაბრეშუმეობის წარმოდგენილი ნიმუშები და სხვ. დაფანტულია აქა-იქ, სხვა-და-სხვა განყოფილებაში; ეს მეტად აძნელებს საქმის ნათლად გამორკვევას და აწონ-დაწონვას. სადაც შეხვალთ, თითქმის ყველგან შეხვდებით პაწია მაგიდას, ყაჭითა და პარკით მოწყობილს. ამ მიზეზების გამო ზოგიერთ წარმომადგენელების გამო ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი, როცა სხვა-და-სხვა განყოფილებას შევეხებით. შეიძლებოდა ერთად თქმა ყველაფრისა, მაგრამ ეს მეტად ძნელია გამოფენის აღწერისათვის და ამიტომ შეძლებისადა გვარად, თუ სრულიად არა, შემოკლებით ავწერ ამ დარგს გამოფენისას.

*) იხ. „ივერია" № 102.

ხერსონის ერობის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამ სასწავლებელს წარმოდგენილი აქვს აბრეშუმის კეთებისა და წარმოების ყველა ცვლილების მდიდარი ნიმუშები (კოლლექცია). სასწავლებლის ნივთებს ერთი ცალკე კუთხე აქვს დაჭერილი, სადაც რამდენიმე პაწია შკაფი სდგას. პირველს შკაფში მოთავსებულია აბრეშუმის ჭიების საკვებ ხის ფოთლების გროვა: morus alba, nigra, vibva, piramidalis, caulis u constantinopolitena. ამის გვერდით გამოფენილია გამხმარი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გამშრალი ძირ-ტკბილა (scorzonera). ძირტკბილას ფოთლები, როგორც ცდამა და მეცნიერულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, აბრეშუმის ჭიების საკვებად არის სახმარებელი. იგი ძლიერ გამოსადეგია განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც უნდა მეაბრეშუმეობას მოჰკიდოს ხელი და თუთის ხეები არა აქვს გაშენებული; ასეთ დროს scorzenera-ს ფოთლები თუთის ფოთლების მაგივრობასა სწევს. შემდეგს შკაფში დალაგებულია აბრეშუმის კაკალი და აბრეშუმის ჭიის სპირტის პრეპარატები, ანუ ჭიის თანდათან განვითარება-ზრდის ცვლილებათა სახე. აქვე წარმოდგენილია ჭიის მიერ პარკის კეთების პროცესსი, სხვა-და-სხვა სახის პარკები, რომელნიც განსხვავდება ერთმანეთისაგან სისხოთი, ფერითა და გარეგნობით. გამოფენილია აბრეშუმი, დახვეულ აბრეშუმის ძაფი და აბრეშუმის სხვა-და-სხვა ქსოვილები. ყველაფერი სრულიად არ არის წარმოდგენილი სასწავლებლის მიერ, მაგრამ რაც გამოუგზავნიათ, ისიც საკმაოდ აინტერესებს მნახველს და აცნობს დაახლოვებით მეაბრეშუმეობის პირველ ხანას. ამის ნახვა-დათვალიერება—განსაკუთრებით ახალ მეაბრეშუმესთვის—დიდად სასარგებლოა, უბრალო მნახველისათვის ხომ უფრო.

უმანის სასწავლებლის აბრეშუმის წარმოების კოლლექცია. აქაც თითქმის ამასვე ვხედავთ, იმ განსხვავებით, რომ ეს უფრო მდიდარია და ვრცელი. მთელ ხერსონის სამეურნეო სასწავლებლის საერთო ნიმუშებზედ მეტი უმანისას მარტო მეაბრეშუმეობის ნიმუშები აქვს. აქვე გამოფენილია რუქა, მასწავლებლის მიერ შედგენილი, რომლითაც ავტორს ჰსურს გამოარკვიოს, რამდენი მეაბრეშუმეა მთელს უმანის მაზრაში. უმანის მაზრაში ამ ჟამად თითქმის 2 ათასზედ მეტი მეაბრეშუმე ყოფილა, რომელთა რიცხვს შეადგენს ყველა წოდების კაცნი. საზოგადოდ ყველას ერთგვარის ჯიშის ჭიები ჰყავთ. მთელს მაზრაში მეაბრეშუმეობა საუცხოვოდ მიჰყავთ და იმედი უნდა გვქონდეს, რომ მომავალში დიდი წარმატება მოელის.

მეაბრეშუმეობას ამ სასწავლებელში დაარსებიდგანვე, ე. ი. 1844 წ. ჰქონდა დათმობილი ადგილი. ამ დროს სასწავლებელი ოდესსაში არსებობდა. 1859 წ. გადმოტანილ იქმნა უმანში და 1868 წ. გადაკეთებული უმანის საბაღოსნო და სამიწად-მოქმედო სასწავლებლად. მესამოცე წლებიდგან უფრო დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ სასწავლებელში აბრეშუმის მოყვანას. 1894 წელს სასწავლებელმა ააშენა ცალკე შენობა, სადაც აბრეშუმის ჭიას ჰქონდა დათმობილი ალაგი. ამ შენობის სიგრძე 10 საჟენია, სიგანე—5, სიმაღლე—5 არშინი. კედლები მუხის ხისაა და გარედგანა და შიგნიდგან შელესილ-გათეთრებულია კირით. შენობასა აქვს ორი დერეფანი, 2 ოთახი ჭიების საკვებად, 1 ოთახი პარკისთვის და მუზეუმისათვის, 2 ოთახი თესლისა და იმისს მიკროსკოპში გასასინჯავად, 1 ოთახი აბრეშუმის თესლის საზამთროდ, სარდაფი საკვებ ფოთლების შესანახად და სხვანი. 1890 წლიდგან უმანის სასწავლებელი ამზადებს ცელიულიარულ თესლს. ამ წლიდგან ეს დარგი წარმოებისა დიდად განვითარებულა. აბრეშუმის ცელიულიარულ თესლს რუსეთის 21 გუბერნიაში ჰგზავნის სასწავლებელი. 1896 წელს 135 მისხ. თესლი დაუგზავნიათ. სასწავლებელს ფარდულში გამოფენილი აქვს ყოველივე ნივთი, რომელსაც-კი აბრეშუმის მოყვანის დროს ჰხმარობენ და სხვა-და-სხვა კოლლექციები, კავკასიის სადგურის მაღალი დასაშლელი საწყობი (этажерки), სამ ნაწილად გაყოფილი; ფოტოგრაფიული სურათები თუთის ბაღისა, გადაღებულნი მოსწავლენი აბრეშუმის ჭიების კვების დროს. ცალ-ცალკე რამდენისამე ყუთში მეტ-ნაკლებობით უყრიათ ჭიების საკვები ფოთლები, ამ ყუთების მნახველი იგებს,—როდის რამდენი საკვები სჭირია ჭიას. რამდენი ხანიც ემატება ჭიას, იმდენად საკვებ ფოთოლსაც უმატებენ; პირველი ყუთი ძლიერ პატარაა, უკანასკნელი თითქმის ათი იმოდენაა. ხერსონის და უმანის სასწავლებელი ბევრს კარგს და სასარგებლო რასმე აგებინებს მნახველს.

სხვათა შორის კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურიც იღებს მონაწილეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ. ამ საგანმა ცხარე ბაასი გამოიწვია ხმოსანთა შორის და მთელი საღამო საბჭომ იმის განხილვას მოანდომა.

გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ქალაქის საბჭოს ჯერ ისევ შარშან, 1896 წელს, 3 ივნისის კრებაზედ დაუდგენია, გამოუცხადოს უსახელო საზოგადოების გამგეობას, რომ ქალაქის საბჭო მოწადინებულია, ხელშეკრულობის მე 15 §-ის თანახმად გამოისყიდოს ტფილისის ცხენის რკინის გზაო. ამასთანავე იმავე კრებაზედ ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა თურმე, მიანდოს ქალაქის გამგეობას და იმ ხმოსანთ, რომელთაც ეს უკანასკნელი ამოირჩევს, რომ მათ დაიწყონ მოლაპარაკება უსახელო საზოგადოების დირექტორთან ამ ცხენის რკინის გზაზედ ზოგიერთ ცვლილების შემოღების შესახებ და ყოველივე შემდეგ საბჭოს აუწყონ.

ამ გარდაწყვეტილებისა თანახმად, გამგეობამ ამ საქმისათვის მოწვეულის ხმოსნების და იმ კომისიის წევრებთან ერთად, რომელსაც ცხენის რკინის გზის მეთვალყურეობა აქვს მინდობილი, დაიწყო მოლაპარაკება ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორთან. როგორც ამ მოლაპარაკებიდგანა სჩანს, ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების გამგეობამ ახალი, ქალაქისათვის სასარგებლო პირობანი წარადგინა იმ პირობით, თუ ქალაქის თვით-მმართველობა ჯერ-ჯერობით არ გამოისყიდის ცხენის რკინის გზას და რამდენისამე წლით ისევ უსახელო საზოგადოების ხელში იქმნება დატოვებულიო. სხვათა შორის უსახელო საზოგადოების გამგეობა ჰპირდება ქალაქს შემოიღოს ორის წლის განმავლობაში ამ გზაზედ ელექტრონის მოსიარულე ვაგონები და გაჰმართოს ახალი შტოები და გაიყვანოს გზა: 1) დიდუბეში, 2) ერევნის მოედნიდგან შუა ბაზარსა და სიონის ქუჩაზედ და შეუერთოს ორთაჭალის ლიანდაგს ავლაბრის ხიდთან: 3) სირაჯხანიდგან გოგილოს აბანოებამდე ; 4) ამაღლებისა, ერევნის მოედნიდგან ძველ-ინსტიტუტის ქუჩამდე, ამას გარდა, უსახელო საზოგადოება ჰპირდება შესცვალოს წინანდელი ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლი და ზოგიერთი ცვლილებანი შემოიღოს ქალაქის სასარგებლოდ. ყველა ამის ნაცვლად უსახელო საზოგადოება თხოულობს, რომ კონცესსიის ვადა გადადგმულ იქმნას ელექტრონის ძალის შემოღების დღიდგან 45 წლით.

შეერთებულმა კრებამ გამგეობისამ, ცხენის რკინის გზათა კომისიისამ და მოწვეულის ხმოსნებისამ, განიხილა რა დაწვრილებით უსახელო საზოგადოების ყველა ზემო დასახელებული წინადადება და ზოგიერთნი სხვანიც, იმ აზრს დაადგა, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ უეჭველად უნდა გამოისყიდოს უსახელო საზოგადოებისაგან ტფილისის ცხენის რკინის გზაო. ამის უმთავრესს საბუთებად შეერთებული კრება ასახელებს ჯერ ერთი იმას, რომ ცხენის რკინის გზებზედ შემოღებული ცვლილებანი იმდენად სასარგებლო არ იქმნება ქალაქისათვის, რამდენადაც თვით უსახელო საზოგადოებისათვის, მეორე—უსახელო საზოგადოება არასოდეს არ ასრულებდა თავისს დაპირებას და უთუოდ არც შემდეგში შეასრულებსო, ქალაქის თვით-მართველებს-კი ხელშეკრულება იმდენს უფლებას არ აძლევს, რომ აიძულოს იგი მისდა შესრულებას, და მესამე,—ის მოგება, რაც ეხლა უსახელო საზოგადოებასა რჩება, ქალაქს დარჩებაო.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, ამ მოხსენებამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია ხმოსანთა შორის. თითქმის ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ცხენის რკინის გზა გამოსყიდულ იქმნასო. გარდასწყვიტეს, საბჭო იმის განხილვაში ნურც-კი შევა, შესძლებს თუ არა შემდეგ ქალაქის თვით მმართველობა შემოიღოს ყველა ის ცვლილება, როგორც, მაგალითებრ, ელექტრონის ძალა და სხვა, რასაც ეხლა უსახელო საზოგადოება ჰპირდება ქალაქს, და მხოლოდ ეს გამოარკვიოს: უნდა გამოისყიდოს ქალაქმა ცხენის რკინის გზა, თუ არაო. ბევრმა, თითქმის უმეტესობამ, ის აზრიც წარმოსთქვა, რომ გამოსყიდვის შემდეგ შეგვიძლიან სხვებს გადავცეთ ეგ საქმეო. ჩვენცა გვყავს ისეთი კაცები, რომელნიც შესძლებენ მაგ საქმის გაძღოლას და, მაშასადამე, უცხო-ქვეყნელთა ნაცვლად ჩვენებს, რომ ჩაუვარდეს ხელში, ისა სჯობიაო.

ბოლოს საბჭომ ერთ ხმად დაადგინა მიანდოს ქალაქის გამგეობას: გამოუცხადოს უსახელო საზოგადოებას, რომ ქალაქს ჰსურს გამოისყიდოს ტფილისის ცხენის რკინის გზა ერთის წლის განმავლობაში და ეს წლიური ვადა უნდა ითვლებოდეს იმ დღიდგან, რა დღესაც უსახელო საზოგადოებას გამოცხადებულ ექმნება ქალაქის სურვილი.

შემდეგ საბჭომ კენჭის ყრით ამოარჩია იმ კომისიის წევრები, რომელთაც უნდა თვალ-ყური ადევნონ ქალაქის ბაღებსა და ტყეებს. ამორჩეულ იქმნენ წევრებად ხმოსნები ნ. ზ. ალიბეგოვი, თავ. ნ. ე. არღუთინსკი დოლგორუკი, ქალანთარი, ვესელოვზოროვი, ოსტროგორსკი, ექ. ხუდადოვი და ყორღანოვი, ხოლო კანდიდატად—თავ. ნ. ს. თუმანოვი.

კრება დაიშალა $11^1/_2$ საათზედ.

## სახელდახელო

(ყბად ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ჩვენს ქალაქს უთაურობის ხანა დაუდგა. ამაოდ აფათურებს ხმოსანთა კრებული ხელებს თავის მოსაფხანად, მაგრამ კისერი ზედა აქვს და თავისათვის ვერ მიუგნია.

რაკი ქალაქი უთავოა, რასაკვირველია, აღარც გემოვნება, ყნოსვა, მხედველობა და სმენა აქვს, ამ ოთხსავე გრძნობას მოკლებულია.

გემოვნების არ-ქონაა მიზეზი, რომ ტფილისის საქულბაქოებში ამდენი ხალხის ჯანმრთელობისათვის მავნებელი და მაწყინარი სანოვაგე და დამპალი ნობათი იყიდება.

ყნოსვა რომ ჰქონოდა, ჩვენი ეზო-კარ-მიდამოები ასე არ იქნებოდა აშმორებული და ასუნიანებული და, მტკვრის წყალის ნაცვლად, კარბოლის სიმჟავით დაუწყებდა ქალაქს მორწყვას.

მხედველობა?.. მხედველობა რომ ჰქონოდა, განა ღამ-ღამე ქალაქის უკუნეთსა და ჯოჯოხეთურს წყვდიადს ვერ დაინახავდა? ქალაქის განათების მოიჯარადრე იმდენს სითამამეს გამოიჩენდა, რომ ფარნის ბოძებიც-კი სანთლით საძებნელია და ხალხი ყოველ-დღე კალენდრებში ჩაიცქირება, მთვარე როდის ამოვა, რომ ქუჩაში გაგვესვლებოდესო?..

სმენა? სმენა რომ ჰქონოდა, ხომ გაიგონებდა გონიერთა კაცთა რჩევას და სამდგმურო გარდასახადს წყალსა და ქარს არ გაატანდა!.. ან იმას მაინც მოისმენდა, რომ კავკავი თავს იკლავს, სცდილობს, შუამდგომლობს უმაღლესის სასწავლებლის დაარსებას, რომელიც ტფილისისათვის უფრო უპრიანია, და ძილს აღარ მიეცემოდა, საუნივერსიტეტო თანხას, ლომბარდისათვის მოხმარების ნაცვლად, განათება თუ არა გვაქვს, განათლებას მაინც მოახმარებდა.

მაგრამ თავი არა აქვს და ყოველისავე ამის მოსაზრება-მოფიქრება სად შეუძლიან?! ხომ მოგეხსენებათ, რომ მოსაზრება-მოფიქრების კოლოფი ადამიანს თავში აქვს და სხვაგან არსად.

* *

ხმოსანთა კრებულმა კერძოდ, უთავოდ, დაადგინა, რომ ან კ. მ. ალიხანოვი ვითავოთ და ან გ. მ. თუმანოვიო.

ბევრი ამბობს, რომ ასეთს არჩევანს ხმოსანთა კრებულისას აზრი არა აქვსო. რა პასუხია, თქვენს ლხენას! აზრი საიდგან ექნება, როდესაც იგი უთავო ხალხის დადგენილია!

კ. მ. ალიხანოვი უარს არისო, ამბობენ. იგი ისეთი მტკიცე ხასიათის კაცია, რომ მარტო ოდენ თავობას არ იკმარებს და კისრობასაც თითონ მოინდომებსო. ოღონდაც, რომ ასეთი კაცია საჭირო, თორემ იქ, სადაც ხმოსანთა კრებული გასწევს კისრობას, თავს ხომ იქით მიაბრუნ-მოაბრუნებს, საითაც თითონ მოისურვებს, ბ ხომ შეიძლება, საუკუღმართოსაკენაც უყოს პირი?!.

აბა ამას ვინ დასთანხმდება?!.

ასახელებენ კიდევ პატივცემულს დ. ზ. ზუბალაშვილს, მაგრამ არა მგონია ან იმან იკისროს უთაურთა მეთაურობა, ცუდს ერში კარგი ბერი არ გამოდგება, რამეთუ ნათქვამია, როგორიც ერიო, ისეთი ბერიო.

გ. მ. თუმანოვმა მანიფესტიც-კი გამოსცა თავის ამომრჩეველთა მიმართ.

„მე ისე ვარ აღელვებული ამ დიდის ნდობით, რომ არ ძალ-მიძს გამოვთქვა ის გრძნობა ღრმა მადლობისა, რომლითაც აღსავსე ვარ ამ ჟამადაო“.

„სულ ერთია, კენჭს ვიყრი 6 ოქტომბერს და ამომირჩევენ თუ არა, მაინც ხმოსანთა თათბირის დადგენილება, რომლითაც პატივი მცეს და სათავო კანდიდატად დამასახელეს, ღრმა კვალს დასტოვებს ჩემს გულშიო.“

ასე სწერს ბ-ნი გ. მ. თუმანოვი. ქალაქი თავს ეძებს და ის-კი გულზედ იდებს ხელს. ჩემის აზრით, ქალაქს თავი უნდა და არა გული.

აქვს-კი ბ-ნს თუმანოვს თავობის თავი?

ტფილისის ერთი რუსული გაზეთი ასე ახასიათებს ბ-ნს გ. მ. თუმანოვს.

„იგი მშვიდი კაცია, გულ-მართალი, შრომის მოყვარე, შედარებით მიუკერძველი, მაგრამ მხნეობა და სიმტკიცე აზრ-ხასიათისა აკლია.

„არ მოეპოვება უნარი მეთაურობისა და მტკიცე ხასიათი.

„მოკლებულია აგრეთვე შემოქმედობითს ძალასაცაო“...

თუ ასეა, მაშ რაღა თავი იქნება, როდესაც მეთაურობა არ შეუძლიან?!.

ასეთის თავით ჩვენი საბჭო, ვგონებ, ვერც ერთს ქალაქისათვის საკეთილო საქმეს ვერ გაათავებს.

ვნახოთ სად მოსძებნის ქალაქი თავს და როდის გაუთავდება უთა-

---

ბას გამოფენაში. კავკასიის სადგურის გამოგზავნილი ნივთებიც ძლიერ საინტერესოა, როგორც სპეციალისტებისა, აგრეთვე ამ საქმის მოყვარულთათვის ლამაზად მორთულია პაწია კუთხე. კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურს გამოფენაზედ გამოუგზავნია მის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები, რომლითაც ჰსურს დაეხმაროს თუთის გამრავლების მსურველთ და ჭიის მკვებელთ. ამ წიგნებს ცოტად თუ ბევრად ჩვენი საზოგადოება იცნობს და, თუ არ იცნობს,—ღმერთმა აპატიოს. საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია იმ გამოცემამ, სადაც მოკლედ აწერილია ჭიის გაჩენიდგან წარმოების მოსპობამდის, ანუ შეჩერებამდის რა მოვლა-ყურის-გდება უნდა ჭიებს და რა დროს რამდენი საკვები უნდა მიეცეს. როგორც ვხედავთ და როგორც ჩვენ თითონ დავრწმუნდით, გამოფენაზედ კავკასიის სადგური ყველას მოეწონა. წრფელის გულით ვუსურვოთ ხანგრძლივი, შეუჩერებელი და სასიქადულო მუშაობა ამ სადგურს.

დონის თემიდგან მონაწილეობას იღებს უზეროვსკი. უზეროვსკის მეაბრეშუმეობა შეუსწავლია კავკასიაში. გამოფენაზედ გამოუგზავნია საწიგნეს მზგავსად გაკეთებული ჭიის საკვები, პარკები, საკუთარი თხზულება მეაბრეშუმეობის შესახებ და სხვანი.

კიევის გუბერნიიდგან ჩამოსულია თავის ნაწარმოების ნიმუშებით პ. იაროცკი. იაროცკი შვიდი წელიწადია, რაც მეაბრეშუმეობას მისდევს; ათასგვარი დაბრკოლება გადაჰღობებია წინ, მაგრამ თავისს საქმეზედ მაინც მუყაითად არის და არ ანებებს თავს. ეს მეაბრეშუმე მარტო პარკს ამზადებს და ჰყიდის. იაროცკის დამზადებულ მასალიდგან იქვე ილჩევიჩი, რომელმაც ნიმუშებიც წარმოადგინა, ამზადებს სხვა-და-სხვა ძაფებს, არშიას და ნაქსოვებს. მთელის ქსოვის პროცესს ბ-ნი ილჩევიჩი ფარდულში აჩვენებს და უხსნის მსურველთ.

გამოფენაში მონაწილეობის მიმღებ მეაბრეშუმეთა ნაწარმოებით აშკარად მტკიცდება, რომ მეაბრეშუმეობა კიევის გუბერნიაში ჯერ წელში არ გამაგრებულა და განვითარებით მაინც და მაინც წინ არ მიდის. მეაბრეშუმეობა-კი აქეთ მხარეს XVIII საუკუნეშიაც არსებობდა. ამიტომ უფრო საკვირველია ასეთი არა-სასიამოვნო მდგომარეობა მეაბრეშუმეობისა სამხრეთ დასავლეთ რუსეთში.

კიევის გუბერნიაში მეაბრეშუმეობა პეტრე დიდის დროს დაიწყო, 1725 წ. ამავე წელს დაიწყო პოდოლში აბრეშუმის ნაქსოვების კეთება. გაშენებული იყო თუთის ხეები და საქმე კარგად მიდიოდა. 50 წლებში აბრეშუმის ჭიებს ჭირი გაუჩნდა და თითქმის სულ მოსპო. ამან დიდად შეამცირა მეაბრეშუმეობა, მაგრამ მოსპობით-კი ვერ მოსპო. ზოგიერთს ალაგას ეხლაც სიამოვნებით მისდევენ მეაბრეშუმეობას. კიევის მაზრაში 20,000 თუთის ხეა, აბრეშუმის ჭიას ინახავს ას ოჯახობაზედ მეტი. ამის და მიუხედავად მეაბრეშუმეობა კუს ფეხის ნაბიჯით მიდის, რადგან პარკს ვერ ასაღებენ. ამ საქმეს პატრონი უნდა, თორემ შეიძლება მალე სულ ჩაჰქრეს. მართალი გითხრათ, როგორც შევამჩნივე, იქაურები აბრეშუმის მოყვანას და საზოგადოდ მეაბრეშუმეობას ძალიან გულგრილად უნდა ეკიდებოდნენ.

ისევ სოფლის მასწავლებლები, მღვდლები, გლეხები და წვრილნი მამულის პატრონნი ჰკიდებდნენ ხელს აბრეშუმის მოყვანას. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ცდით ზოგიერთ ადგილას მეაბრეშუმეობის სურვილი აღუძრეს კიდეც მცხოვრებლებს. თესლს კავკასიის სადგური უგზავნისთ თითქმის მუქთად.

თუ რამდენად ყურადღებით ეკიდებიან სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის მეაბრეშუმენი თავის საქმის განვითარებას, ამას ამტკიცებს შემდეგი შემთხვევა მომხდარი თვით გამოფენაზედ.

კიევის სამრეწველო გამოფენაზედ არის ფაბრიკის პატრონი სონოვი თავისის ფაბრიკის ნაქსოვებით. სონოვი ყოველ წლის განმავლობაში 150,000 მან. ნაქსოვებს ამზადებს, ამისთვის ჰხმარობს 200 ფუთს მილანის აბრეშუმს, 400—ჩინეთისას და 100 ფუთს კავკასიისას. როცა აქაურ სამეურნეო საზოგადოების წევრები დაეკითხნენ სონოვს, რატომ ჩვენს მხარეში არა ჰყიდულობ აბრეშუმსაო, იგი განცვიფრდა. წარმოიდგინეთ, არა სცოდნოდა, აქეთ მხარეში მეაბრეშუმეობა იყო თუ არა. დარწმუნებული ვარ, მთელს რუსეთში ბევრი სონოვიები გამოჩნდებიან. ფაბრიკის პატრონებმა არ იციან, თავიანთ მხარეში სადა მზადდება აბრეშუმი; მეაბრეშუმეებმა არ იციან ვის მიჰმართონ, ვის მიჰყიდონ საქონელი. ასეთი მდგომარეობა ვის არ გააწითლებს! ეს რომ ევროპიელს უთხრათ, სასაცილოდ არ ეყოფათ. როცა ასე იქნება მოწყობილი საქმე, რასაკვირველია, არა გამოვა-რა. ამიტომ აქვს გამოფენებს დიდი მნიშვნელობა საზოგადოდ. ეს ამბავი რომ გავიგონე, ვიფიქრე, აქეთაც ჰქონიათ ჩვენებური სიზანტემეთქი. ჩვენში ხომ ღმერთმა შეინახოს, რამდენჯერმე შემხვედრია ნაცნობი, რომელსაც არა სცოდნია (რამდენია ისეთი, რომ დღესაც არ იცის), რა მრეწველობა-წარმოებაა, რა ამბავია მეორე, მეზობლად მდებარე, მაზრაში.

მალაქია ბოლქვაძე

## „შავნაბადა“

ანუ

მწყემსი თათარი

(ლეგენდა)

ტფილისიდგან რამდენისამე ვერსის მანძილზედ, სამხრეთის მხარეს, ერთს გორაკზედ, ერთი პატარა ეკკლესიაა, რომელიც ტფილისის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მაღლობ ადგილებიდგანაც მოსჩანს სერზედ. ეს ეკკლესია სომხებს ეკუთვნის და ეძახიან: „შავნაბადას“, ანუ „შავ-ნაბადის წმიდა

ვობა?!. დრო-კია, თორემ ეს სათავო საქმე სათავეა ათას გვარის მითქმა-მოთქმისა და აურზაურისა.

კალმოსანი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. რუისი,** (გორის მაზრა). სრული ექვსი წელიწადია, რაც ს. რუისზედ ღმერთმა თავისი კალთა აიბერტყა და აქაურ მოსავალში „უფლის თვალი შიგ აღარ ტრიალებს.“ სრული ექვსი წელიწადია, რაც მოსავალი ისე ნაკლებ მოდის, რომ ნახევრადაც არა ჰყოფნის აქაურ გლეხს. განსაკუთრებით წრევანდელმა შეუბრალებელმა ბუნებას სტიქიონმა ხომ მთლად ხელი დაბანინა მთელის წლის ნაწვავ-ნადაგისაგან და ცარიელზედ დასხა აქაურები. დვინისა ხომ, როგორც აქაურებიც ამბობენ, „სახელიც-კი დაგვავიწყდა“. სასურველია, ფილოქსერის კომიტეტმა ჩვენსკენაც გადმოავლოს თავისი მოწყალე თვალი და უწამლოს რამე ჩვენს განადგურებულს ვენახებს. არა ნაკლებ სასურველია ისიც, რომ მთავრობამ რამე დახმარება აღმოუჩინოს რუისის დაზარალებულ გლეხებს, რომელთაც სახაზინო გარდასახადი შარშანდელიც ისევ კისერზედ აწევთ.

ახალმა მამასახლისმა სოფელს ჯერ-ჯერობით კვრავერი შეჭმატა. პირიქით, უფრო იჩინა თავი ქურდობა ავაზაკობამ. ამას წინად აქაურ გლეხებს, კანო მამესწარაშვილს და ანდრო მამესწარაშვილს ბაკიდგან ხარები მოჰპარეს. რომლებმაც შემდეგ იპოვნეს. ამ ერთის კვირის წინად შემდეგი ამბავი მოხდა: ერთს „დუხაბორკას“ მინდორში ქმართან ჯერი მიჰქონდა; შუა გზაზედ, თითქოს მიწიდგან ამოძვრაო, გაუჩნდა აქაური გლესი რ. კ—შვილი, მალის-მალად დაუწყო ტლოშვნა, მაგრამ ქალი არ დანებდა თურმე. რამდენისამე საათის შემდეგ სოფელში ამოვიდა მთლად ცემისაგან თავ-პირ დამტვრეული, სისხლში სოვრილი და ტანისამოსს შემოგლეჯილი ქალი. ამ საქციელის ჩამდენი-კი, დღესაც თავისუფლად დაბრძანდება.

რუისელი ვანო

**სოფ. ალი,** (ქართლი). გომის სადგურიდგან სახსრემდე საურმო-საქარავნო გზაა, რომელზედაც კამარა აზმული მიდის ურმი ურემსა და ცხენი ცხენზე. თუმცა აქამდე მშვენიერი გზა ტკეცილია, მაგრამ ალის ზევით კი, რომლითაც არამც თუ მარტო ალელები, არამედ მთელი საზოგადოება, თითქმის ოთხი ათას კომლამდე კაცი სარგებლობს და გამოაქვს: შეშა, კირი, ნახშირი, ჭურჭელი თიხისა და სხვანი —ისეთი სამაგელი გზები იყო, რომ ძნაც ვერ მოსთვლიდა იმისს სისაძაგლეს. ამ გზის გაკეთება ითავა თავ. სარდიონ ამირეჯიბმა და თავისის ხარჯით აკეთებს. ამ კეთილსავე საქმეს შემოსწირა ასი მანეთი გენერალ-ლეიტენანტმა თავ. მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბმა და მისმა შვილმა კონსტანტინემ ორმოც-და-ათი მანეთი, რომლებისაც მთელი ეს საზოგადოება დიდი მადლობელია. ამ საქმისათვისვე დიდი მხნეობა გამჩრიახობა გამოიჩინა ზაალ ზურაბის ძემ წერეთელმა, რომელიც დღე და ღამ თავს ადგია მუშას, არა ჰზოგავს თავისს მოხუცებულობას და მხიარულად ამუშავებს ყოველ დღე თითქმის ორმოცამდე კაცს.

გარდა ამისა, ჩვენი პატივცემული წერეთელი ერთს დიდს სასიხარულო ამბავს გვიქადის ალელებს. ალელები უწყაროსნი კართ და დიდი შეწუხება გვადგია, ზაფხულობით მაინც, რადგან მდ. ფრონი შრება. წერეთელმა უკვე შეუკვეთა თიხის მილები, რომელიც ორი ათასს ხუთასი სჭირდება, და აპირობს შიგ შუა სოფელში წყაროს მოყვანას, რომელიც გაზაფხულისათვის მზად იქნება.

ალელი მედავითნე

# წერილი თელავიდან

თელავი, იმისდა მიუხედავად, რომ თვით-მართველობას ეღირსა, იმისდა მიუხედავად, რომ ამ ახლო ხანში ორის დაწესებულებით გამდიდრდა, რომელთაგან ერთი, თუმცა თელავში არ დაბინავებულა—საუფლისწულო მამულების გამგეობის შესახებ მოგახსენებთ,—მაინც თელავის ბაზრით სცხოვრობს, მეორე, სახელ-დობრ დრუჟინა, ხომ შიგ თელავშია დაბინავებული; იმისდა მიუხედავად, რომ ახლო მომავალში რკინის გზაც დაუკრავს თავს,—ისევ ძველებურად ჩვენებურად ღრმა ძილშია, არ ეხალისება გამოფხიზლება. ძილს და მოსვენებას თქვენი ჭირი წაუღია, ნეტავი ცხოვრებას შეუცვლელად შერჩენოდა, წარმატებას ვინ ამობს, ნეტავი კლების გზაზედ არ დამდგარიყო, ნეტავი უკან არ დაეწყო სიარული. საქმე ის არის, რომ უკან-უკან სიარულსაც შეეჩვია. ამისი მაგალითი მრავალია, მაგრამ მე აქ მხოლოდ ერთს დავასახელებ. 1893 წლიდგან ვიდრე ამა მდგომარე წლის 15 სექტემბრამდის კვირაში ცხრაჯერ მიდიოდა და მოდიოდა ფოსტა. მაშასადამე, თელავი იღებდა და ჰგზავნიდა ყოველ დღე ფოსტას და ზოგიერთ დღეს ორჯელაც. ამ ნაირად საქმის მოწყობა საკუთრივ უნდა მიეწეროს საფოსტო ოლქის უფროსს ბ-ნს ბოგუცკის, რომელმაც დაითანხმა ფოსტის სადგურების მოიჯარადრე ბ-ნი მამულოვი და ასე საუკეთესოდ გამოაწყო თელავის საქმე. როგორც ყველა კეთილს, ამ სიკეთესაც აედევნენ მტრები, რომელთაც შემთხვევა ჰქონდათ წელიწადში ორჯელ და მარტო ორად ორჯელ თელავში მოსვლისა, აქაო-და ერთს სადგურზედ ორი საათით დავბანდდითო, დაიწყეს საჩივრების წერა. ამ საჩივრების გამო საფოსტო ოლქის უფროსმა ბ-ნმა ბოგუცკიმ აი როგორი პასუხი მისცა: „1893 წ. ვაზიანიდგან თელავამდის ფოსტის სადგურების მოიჯარადრემ ჩემის რჩევით გაჰმართა ტფილისიდგან თელავამდის მოსიარულე ეტლები და დასთანხმდა, რომ ამ ეტლებისათვის საკუთარი ცხენები ჰყოლოდა. ამასთან დავპირდი შუამდგომლობას, რომ მის მიერ იჯარით აღებულ სადგურებზედ ცხენები მოემატებინათ. ერთი წლის შემდეგ სადგურებზედ მოუმატეს ცხენები. მამულოვის თხოვნა, რომ ნება მისცემოდა ეტლში თვითო სადგურიდგან ოთხ ოთხი ცხენი შეება, სამართლიანად ჩავთვალე და მივეცი ნება უჯარმისა, გომბორისა და თეთრ-წყალის სადგურებიდგან ოთხ-ოთხი ცხენი შეება ეტლში მხოლოდ მაშინ, როცა ტფილისიდგან თელავისაკენ მიდიოდა ეტლი (ომნიბუსი). ამისთანა თხოვნის უარის თქმა არა თუ უსამართლობა, არამედ უგუნურებაც იქნებოდა, რადგანაც მამულოვს ეტლები თავისით ჰქონდა გამართული და არა საიჯარო პირობით. იმას შეეძლო თავი დაენებებინა ამ საქმისათვის ზარალისა გამო, თუ მე ცხენების ხმარების ნებას არ მივცემდი. ეტლების სიარულის მოსპობა-კი დიდად საზარალო იქნებოდა, რადგანაც ჯერ მარტო ყოველ დღე უფულო წერილებისა და ჟურნალ-გაზეთების გადატან-გადმოტანა დიდ მნიშვნელოვან საქმედ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებისათვის, ამას გარდა კიდევ კარგი ღირსება იმისის ეტლებისა ის იყო, რომ ხალხს იაფად შეეძლო სიარული ფოსტის ეტლების ფასთან შედარებით და ექვსი სული ერთად დადიოდა ოთხის ცხენით, მაშინ როდესაც ექვსის ცალ-ცალკე წაყვანას 12 ცხენი უნდა. სადგურებზედ რომელსამე ცალკე მოსიარულე მგზავრის 2—3 საათით დაბრკოლება აუცილებელია, რაც უნდა ბევრი ცხენები იყოს სადგურებზედ. რასაც გვარწმუნებს კავკავის გზა, რომლის სადგურებზედაც აუარებელი ცხენებია, მაგრამ ზოგჯერ მგზავრი ცხენების ნაკლებულობისა გამო დაბრკოლებას მაინც ვერ ასცდენია.

მოსაზრებათა გამო არ შემიძლიან დავაკმაყოფილო მომჩივარნიო.“

ამისთანა საბუთიანმა პასუხმა მომჩივნები მაინც არ დააკმაყოფილა. ისინი ბ-ნ ბოგუცკის განაჩენს არ დასთანხმდნენ და საჩივარი გადაიტანეს ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოში. აქ საჭირო იყო თელავის თვით მართველობა მიჰშველებოდა თელავისათვის ასე მზრუნველს საფოსტო ოლქის უფროსს ბ-ნს ბოგუცკის, შუამდგომლობა დაეწყო, რომ ბ ნ ბოგუცკის განკარგულება, როგორც დიდად სასარგებლო საზოგადოებისა და აგრეთვე მოგზაურთათვის, ხელ-უხლებლად დარჩენილიყო, მაგრამ არავინ ყური არ გაიბერტყა და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველომ უწესოდ იცნო ბოგუცკის განკარგულება, დააკმაყოფილა ორი კაცის სურვილი და ამ გვარად მათს კერძო სურვილს 40 ათასის მცხოვრებელის ინტერესი შეეწირა.

15 სექტემბრიდამ თელავი და მისი მაზრა კვირაში მარტო ორჯელ იღებს და ამდენჯერვე ჰგზავნის წერილებს, ჟურნალ-გაზეთებსა და სხვას. ერთის სიტყვით, დავუბრუნდით მამა-პაპათა დროინდელს წეს-რიგს. რამდენადაც სამწუხაროა ეს უკან დაწევა, უფრო მეტად სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამ უკან დაწევას თითო-ოროლა თუ ჰხამუშობს, თორემ სხვები ბაიბურშიაც არ იგდებენ. აგერ ხუთი დღეა ფოსტა არ მიგვიღია და დღევანდლამდის არც ერთს დაწესებულებას, არც ერთს ადამიანს თითი არ გაუნძრევია. ეს არის ცხადი ნიშანი ჩვენის მშვიდობიანობისა. ამ მშვიდობიანობაში, ანუ თვლემაში ვერც ერთის ქალაქის მცხოვრებლები ვერ შეგვედრებიან. ზოგს დიდის ცხვირისათვის აძლევენ ჯილდოს და, საკვირველია, აქამდის არ დაადგინეს ჯილდო მშვიდობიან თვლემისათვის! ჰაი თუ ჩაიჩხრიალებდნენ თელაველები ჯილდოებს!..

რაკი მშვიდობიან თვლემისათვის არავინ რას იძლევა, ვცნობ დროა, რომ ამისთანა უსარგებლო მდგომარეობა უკუ ვაგდოთ და იმისთანას მოვეჭიდნეთ, რომელიც სიცოცხლეს სიკვდილს არ ამგზავსებს. თქვე დალოცვილებო, სულ სუფრასთან და ბანქოსთან რომ არ მოვიყაროთ თავი, არ იქნება უსუფროდ და უბანქოდ შევიკრიბნეთ ერთხელ და გასაკეთებელი გამკეთებლამდის მაინც მივაგოროთ, თუ ჩვენ ვერა გაგვიკეთებია-რა?!.

ნადიკვრელი

---

გიორგს“, დღეობას — „შავ-ნაბადობას“.

ამ ეკკლესიას ტფილისიდგან ორი გზა აქვს: ერთი ეტლისა და მეორე—ფეხისა. ეს ორივე გზა იწყება ტფილის-გუმბრის გზატკეცილით. ნავთლუხამდის ერთი გზაა, მხოლოდ რაკი ნავთლუხს დაუპირდაპირდებით, ეტლის გზას გადასცდებით და მარჯვნივ გადუხვევთ ფეხის გზას. ეს გზა სერამდის სულ აღმართია და ცუდი გზაც არის და რაკი სერს გადასცდებით, მერე სულ სწორე გზაა ეკკლესიამდის.

„შავ-ნაბადის“ ეკკლესია, როგორც მოგახსენეთ, პატარაა და სრულიად განმარტოვებული სდგას თელეთის მთის ბოლოზედ. გარშემო ლამის-მთეველთათვის სახლები აქვს მიშენებული და დასავლეთის მხარეს პატარა სასაფლაოა ქართულ-სომხურის წარწერებით. აქედგან დასავლეთით მოსჩანს კლდე-სერები და ტფილისის აღმოსავლეთის ნაწილი, ხოლო აღმოსავლეთ-სამხრეთით-კი—მშვენიერი თვალ-გადუწვდენელი მინდორი, რომელზედაც გველივით მიიკლაკნება მდ. მტკვარი, ამ მინდორზედ მოსჩანან აქა იქ გაშენებული პატარ-პატარა სოფლები და კუმისის ტბა მტკვრის მარჯვენა მხარეს, როლის ახლოც გაივლის ტფილის-ყარსის რკინის გზა.

ეკკლესიის სამხრეთით, დაბლა ხევში წყაროა, რომელსაც მლოცველნი სასმელად ჰხმარობენ.

„შავ-ნაბადობა“ ყოველთვის შემოდგომაზედ მოდის. ეტლებით წამსვლელთა გარდა, ფეხის გზითაც, გზის უვარგისობის მიუხედავად, ბევრი ხალხი დადის. ამ დღეს ათასობით ხალხი ეხვევა გარშემო ეკკლესიას, გაისმის ზურნა-არღნებისა და სხვა საკრავების ხმა.

კარვებში ღვინითა ჰვაჰრობენ, აქვე სხედან მოქეიფენი და ღვინოსა სმენ.

აქ, სომხებს გარდა, ქართველობაც ბლომად მოდის დღეობას, შეხვდებით აგრეთვე თითო-ოროლა რუსსა და სხვა ტომის ხალხსაც, რასაკვირველია, უფრო მდაბიო ხალხს. ქალაქის გარდა, ახლო-მახლო სოფლებიდგანაც—თელეთისა, წალახპურისა, ქურდ-თელეთისა, კუმისისა და სხვაგნიდანაც ბევრი ხალხი მოდის.

ბევრს მლოცავს სავალდებულოდ აქმს გამხდარი, რომ ყოველ დღეობას უთუოდ უნდა ილოცოს „შავ-ნაბადაში“, თორემ თუ ერთხელ ილოცა და შემდეგში დაივიწყა, აღარ ილოცა, წმინდა გიორგი დაიჰერს და კარგს დღეს არ დააყრის!..“ რასაკვირველია, ყველა ეს მხოლოდ ცრუ-მორწმუნეობაა და მკითხავ-მარჩიელების წყალობით გავრცელებული მდაბიო ხალხში.

თუ რამდენად ძლიერია „შავ-ნაბადის“ წმინდა გიორგი. ამის შესახებ შემდეგი ლეგენდაა ტფილისელებში გავრცელებული, რომელსაც აქვე მოვიყვანთ:

„ერთხელ „შავ-ნაბადისკენ“ გამოუვლიათ მწყემს-თათრებს, რომელნიც ქალაქში ცხვარს მოერეკებიან თურმე. ერთს მათგანს ახალი ქალამნები ჰქონია, სრულიად უხმარებელი; ამას სიცილით ხელი გაუშვერია „შავ-ნაბადისაკენ“ და ამხანაგებისთვის უთქვამს: „თუ ამ „შავ-ნაბადას“ ძალა აქვს, ეს ქალამნები წლის თავამდის ისევ ისე ახალი იქნება, როგორც ეხლააო“. ამხანაგებსაც დაუცინიათ და უთქვამთ:

„—თუ წმინდა გიორგი მაგოდენა ძალას გამოიჩენს, ვირწმუნებთო...

ქალამნების პატრონს რამდენჯერმე გაუმეორებია თავისი სიტყვები და როდესაც სახლში დაბრუნებულა, უეცრად დაკუტებულა!.. მისს ცოლ-შვილსა და ერთს ამხანაგს, რომელიც იქ დასწრებია იმ დროს, მრავალი ღონისძიება უხმარიათ, მაგრამ ფეხზედ ვეღარ დაუყენებიათ.

„—იქნება წმინდა გიორგიმ იწყინა შენი სიტყვები და იმიტომ დაგემართა აგრეო“ —უთქვამს მისს ამხანაგს.

— რას ამბობ, წმინდა გიორგის რა ხელი აქვს ჩემთან? ის ქრისტიანებისაა და მე მუსულმანი ვარ! უპასუხნია დაკუტებულს: წმინდა გიორგიმ-კი არა, ყველა ეს ალლაჰმა დამმართა, რადგანაც მე უკვე კარგა ხანია დავივიწყე, ჯამეში აღარ დავდივარ და არა ვლოცულობო...

გავიდა თითქმის ერთი წელიწადი და მწყემსი ისევ ისე იყო, თუმცა ბევრი ილოცა და ევედრა მაჰმადსა და ალიას. ვერც ჯამეში სიარულმა და ლოცვამ უშველა რამე...

მწყემსი მწარედ დაღონდა, ნაღვლიანად შეჰხედა ცოლ-შვილს, რომელნიც არა-ნაკლებ იყვნენ დაღონებულნი და მწუხარენი, და უთხრა:

— ეხლა რაღა ვქნა! მაჰმადიც და ალიაც შემომწყრომიან და არასა მშველიან! მოდი, ისევ „შავ-ნაბადის“ წმ. გიორგის შევევედრები და თუ იმას მართლა ძალა აქვს რამე და იმან დამაკუტა, მაშასადამე, მომარჩენს კიდეც და, თუ მომარჩენს, თაყვანსა ვცემ და ვირწმუნებ წმ. გიორგისაცა და იესო ქრისტესაც!..

ამაზედ ცოლ-შვილიც თასთანხმებია და უთქვამთ:

— თუ-კი აგრე ძლიერი იქნება წმ. გიორგი, ჩვენც ვირწმუნებთო...

მწყემსს დაუწყია ვედრება წმ. გიორგისა: „წმინდა გიორგი! თუ ძალა გაქვს და შენგანა ვარ დაკუტებული, გამკურნე, თუ გინდა, რომ გირწმუნო და თაყვანი გცე წრფელის გულითაო!..“

ეს სიტყვები დაუსრულებია თუ არა, ფეხზედ წამომდგარა.

მისი ცოლ-შვილიც განცვიფრებულა ამ სასწაულით, თაყვანი უციათ წმ. გიორგისათვის და მიუღიათ ქრისტიანობა. მწყემსს, რასასვირველია, ახალი ქალამნები ახლადვე დარჩენია და წლის თავზედ ისევ ჩაიცვა და მივიდა თურმე „შავ-ნაბადაში“ სალოცავად.

ვიდრე ცოცხლები ყოფილან, ყოველ წელიწადს მოდიოდნენ თურმე „შავ-ნაბადაში“, სამლოცველოს უკლავდნენ და ჰლოცულობდნენ...

ნიკო ასლამაზიშვილი

## რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეებში დაამთავრა განხილვა იმ კანონპროექტისა, რომლის ძალითაც თავად-აზნაურობის წოდებას უნდა დარჩეს საკუთრებად უმემკვიდროდ გარდაცვლილებულ თავად აზნაურთა უძრავი ქონება ქალაქ ადგილებისა. ყოველივე მოძრავი ქონება-კი ამ პროექტის ძალითვე უნდა გადავიდეს იმ ქალაქის თვით-მმართველობას, რომელშიაც სცხოვრობდა იგი იმისდა მიუხედავად, ადგილობრივ თავად-აზნაურობაში ირიცხებოდა, თუ სხვა გუბერნიაში იყო ჩაწერილი. პროექტი მალე გარდაეცემა სახელმწიფო საბჭოს მისდა განსახილველად.

— ამ ჟამად უკვე დაამთავრა მუშაობა, სენატორის ვ. კ. საბლერის თავმჯდომარეობით, იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შემუშავება სასულიერო უწყების სასწავლებლებისა და საერო განათლების სასოფლო სასწავლებლებისა და სამოსწავლებლო სემინარიებში სასულიერო-სამეურნეო საგნების სწავლების პროექტისა. კომისიაში მონაწილეობას იღებდენ საერო განათლებისა, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებისა და სასულიერო უწყების წარმომადგენელნი.

— ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მიუცა ელექტრო-ტექნიკოსთა საზოგადოებისათვის, რომ გამართეთ სალექტრო-ტექნიკო სასწავლებელი და სამინისტრო ფულით შემწეობას აღმოგიჩენთო.

— ვარშავის ერთის რკინის გზის მოხელეთ წინადადება მიეცათ, სამსახურს თავი დაანებეთ, რადგან მოხუცებულობის გამო ვეღარ შესძლებთ სამსახურსაო. ამიტომ ადგილობრივ რკინის გზათა მართველობა აპირობს ლაპარაკი აღძრას რკინის გზათა დეპარტამენტში იმის შესახებ, თუ რა წლოვანებამდის უნდა მიეცეთ ნება სამსახურში ყოფნისა რკინის გზების მოხელეთ.

— რომნის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა დაუწყია მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით გამოფენა გავმართოთ სასოფლო სამეურნეო და შინა მრეწველობის საგნებისა და ამასთანავე ფულად შემწეობა 3,000 მან. სთხოვს გამოფენისათვის.

— კვერცხის დიდ ვაჭართ შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ შემოცირდეთ გადასატან-გადმოსატანის ფასი ზღვას, რომლებშიაც ვაჭრობთ კვერცხებს გაგზავნის დროს, რომ არ დაიმტვრესო.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ამ რამდენიმე დღის წინად გერმანიის იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც აღეკრძალა საფრანგეთის აფიცრებს ელზას-ლორინგში შესვლა. გერმანია დიდხანია მოუდრეკლად იცავს გარდაჰკიდებულ ელზას-ლორენს, რომ იქაურ ფრანგებს საფრანგეთისა აღარაფერი ახსოვდეთ, მაგრამ ასეთ სასტიკ საშუალებისათვის, როგორიც ეს უკანასკნელი განკარგულებაა, ჯერ არ მიუმართავს. საფრანგეთის მრავალი აფიცერი ელზას-ლორენელია, ამიტომ ახლა ვერ შეეძლებათ თავიანთ სამშობლოს ნახვა, სადაც ცხოვრობენ დედ-მამა, ნათესავები და საერთოდ მახლობელნი ჰყავთ. აშკარაა, რომ ამ გვარის საშუალებით გერმანია ელზას-ლორენის გულს ვერ მოიგებს და იმის მკვიდრთ ვერ დაიახლოვებს. პირიქით, ეს გარემოება ერთი ორად და სამად უფრო გაამწვავებს ელზას-ლორენელებს და ამიერიდგან ეს უკანასკნელნი უფრო მოიწადინებენ გერმანიის ბატონობისაგან თავის დაღწევას და განთავისუფლებას და თავიანთ სამშობლოს საფრანგეთთან შეერთებას.

**ისპანია.** ევროპის არც ერთს სახელმწიფოში არ არის ამ ჟამად ისეთ არეულ დარეულობა, როგორც ისპანიაში. დასებს, ანარქისტების და ეგრედ წოდებულ კარლისტების ბრძოლამ ლამის ეს სახელმწიფო მთლად მოჰსპოს და გაასწოროს და სულ უკანასკნელ მდგომარეობაში მიიყვანოს. შესძლებს თუ არა ახალი სამინისტრო, საგასტას მეთაურობით, ისპანიის ახლანდელ-დახლართულ საქმეების მოწყობას და ამ სახელმწიფოს გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოყვანას,—ჰკითხულობენ ყოველ-დღე გაზეთები და ნამდვილ პასუხს-კი არც ერთი არ იძლევა. საგასტა პირველად არ არის მოწვეული მინისტრ-პრეზიდენტად, იგი წინად უკვე ოთხჯერ ეჭირა სახელმწიფოს მმართვ-გამგეობის სათავეში. პირველად მინისტრ-პრეზიდენტად საგასტა 1874 წელს იყო, შემდეგ —1881—1883 წლებში, მესამედ 1885 წ. 1890 წლამდე და მეოთხედ 1892 წ.—1895 წ. და ეხლა კიდევ მეხუთედ იქმნება. საგასტა შორს მხედველი შრომის მოყვარე და დიდად მხნე კაცია. სწორედ ასეთი კაცია ეხლა საჭირო ისპანიისთვის და სწორედ ამიტომ ყველა სიხარულით მიეგება იმის მინისტრ-პრეზიდენტობას.

## დამაკვირდი

ადამიანს უზრუნველ-ყოფილი რომ არა ჰქონდეს მფლობელობა ადგილ-მამულისა, მიწად მოქმედებს არსებაც არ ეგისრებოდა.

ტიერი

***

ვინც ნელა დადის, გონიერად დადის; ვინც გონიერად დადის, ის შორს დადის.

იტალ. ანდაზა

***

ზომას გარდაცილებული სიხარული მწუხარებად ადვილად გარდიქმნება.

ბერტინი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვინ არ იცის, რომ რკინის გზით მოგზაურობა ზაფხულობით ძლიერ ძნელია სხვათა შორის იმიტომ, რომ კაცს გზაში მტვერი აწუხებს. მერე თუ კაცი შორს მიემგზავრება სადმე... ვაგონი სულ ერთიანად მტვერით ივსება. ფანჯრები რომ დაიკეტოს, კაცს სული შეეხუთება და ისევ, მეტი გზა არ არის, ვაგონის ფანჯრები ღია უნდა იყოს და კაცმა მტვერი ჰყლაპოს. განსაკუთრებით ძლიერ აწუხებს მგზავრს მტვერი ამერიკაში. აქ ხან-და-ხან მთელ ორ-სამ თვეს არ მოვა ხოლმე წვიმა. გვალვისაგან მიწა ისე არის ხოლმე გამხმარი, რომ მატარებელის სიარულის დროს ლიანდაგზედ მტვერის კორიანტელი დგება. აქ-კი ისევ ისა სჯობიან, რომ ვაგონის ფანჯრები ჩაიკეტოს, თორემ მგზავრები მტვერით ამოირჩვებიან. მაგრამ არც ესა ჰშველის მგზავრს. მტვერი მაინც შედის ვაგონში და ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ ვაგონები სულ ერთიანად მტვერით არის სავსე. ბარგი ფუჭდება. ადამიანის ტანთ-საცმელს იმოდენა მტვერი ედება, თითქოს ფქვილის ტომარა ზედ დაუბერტყიათო. რაღა თქმა უნდა, ამ მტვერის ასაცილებლად ერთად ერთი საშუალებაა: გზა უნდა მოირწყოს. მაგრამ რითი? წყალითაო, იტყვით. კარგი და პატიოსანი; მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, რაც უნდა კარგად მორწყოთ რკინის გზის ლიანდაგი, ვიდრე მეორე მატარებელი გამოივლის, ლიანდაგი ისევ გაშრება. ბევრი იფიქრეს ამერიკელებმა, ამ საქმეს როგორ უშველოთ, როგორ ავიცდინოთ თავიდგან მტვერიო და ბოლოს პენსილვანიის რკინის გზის მმართველობამ შემდეგს საშუალებას მიჰმართა. რკინის გზის ლიანდაგს რწყავენ, მაგრამ წყალით-კი არა, შავის ნავთით (კუპრით). მოგეხსენებათ, რომ კუპრი ძლიერ გვიანა ჰშრება. შავი ნავთი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგა ჰშრება და მერე მტვერს თითონ იზიდავს, ასე რომ წელიწადში ორჯერ მაინც რომ მოირწყას ლიანდაგი, მერე მტვერი აღარ იქმნება, რადგანაც ლიანდაგს კუპრი ასფალტივით გადაეფინება. აი როგორა ჰრწყავს თურმე პენსილვანიის რკინის გზის მმართველობა ლიანდაგს. მატარებელის ორთქლ-მავალს მიბმული აქვს ნავთით სავსე საგანგებო ვაგონი-ცისტერნი, რომელიც თავის თაეადა ჰრწყავს ლიანდაგს. ლიანდაგს მხოლოდ წელიწადში ორჯერ უნდა მორწყვა...

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ზ. ჭიჭინაძისაგან ოცდა მეათედ გამოცემული წიგნი „ქალ, ვაჟიანი“. ეს მოთხრობა ქართველებს ბერძნულის ენიდგან XVII საუკ. უთარგმნიათ. სტილი ენისა ცოტა უხერხულია. პირველად ეს მოთხრობა, არსენას ლექსი და ალექსიანი 1873 წ. დაიბეჭდა ქ. ტფილისში. მას შემდეგ ეს წიგნები და მეტადრე ქალ-ვაჟიანი წელიწადში ხან ერთხელ იბეჭდება და ხან ორჯელაც. ასე და ამ გვარად 1873 წლიდგან 1897 წლებამდის 70,000 ათასზე მეტი ცალი დაბეჭდილა ეს წიგნი.

ახალ გამოცემას „ქალ-ვაჟიანისას“ ოთხი სურათი აქვს თან დართული და ბოლოში ქართული ანბანიც. წიგნაკი ჰღირს ერთ შაურად.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ჩემდამო რწმუნებულ ჯვარცხმის მაცხოვრის ეკკლესიის სამრევლოში აქ დასახელებულ მცხოვრებთ, რომლებმაც ფულით შემწეობა აღმომიჩინეს ეკკლესიასთან ერთი კლასიანი სამრევლო სკოლის შენობის ასაშენებლად: შემოსწირეს: აზ. მიხეილ ოქ. ჟღენტმა 50 მან. ფულად და კიდევ ათ მანეთად ღირებული სასკოლე დაფა: აზ. სიმონ და ალექსი გურ. ჟღენტებმა—20 მან., აზ. კოსტა გურ. ჟღენტმა 20 მან., აზ. ალმასხან ომ. ჟღენტმა—5 მან, თეოფილე ტარიელის ძემ კილასონიამ—10 მან., პავლე ხოს. ჟღენტმა 2 მან.; ლუკა დავ. ჟღენტმა—3 მან.; აზ. აბესალომ იესესძე ჟღენტმა—5 მან.; აზ. ერმილე ზურ. ჟღენტმა—5 მან.; გიგო ჟღენტმა—2 მან.; ხალამპრე ათანასეს ძემ უნგიაძემ—3 მან.; იესე ლაზ. უნგიაძემ 3 მან., ნესტორ ლაზ. უნგიაძემ 3 მან., ნიკო გერ. უნგიაძემ—2 მან., იასონ ეგნატ. უნგიაძემ—5 მან., ანტონ ევთ. უნგიაძემ—10 მან., ადალო პაიჭაძემ—2 მან., ლაზარე გეგეჭკორმა—3 მან., სპირდონ იაკ. უნგიაძემ—6 მან., ხალამპრე ოქროპირისძე უნგიაძემ—10 მან., გიორგი იოსებისძე ბერაძემ —2 მან., ანდრია გიორგ. გეგეჭკორმა—2 მან., ლეონტი მახ. უნგიაძემ—3 მან., ვლადიმერ ჩხიკვაძემ—5 მან., გიორგი ჩხიკვაძემ—5 მან., მამასახლისმა თეიმურაზ ჩხიკვაძემ—5 მან., მელიტონ ან. უნგიაძემ—3 მან., გაბრიელ ღუტიძემ—3 მან., ივლიანე უნგიაძემ—5 მან., გიორგი მახარაძემ—3 მან., ფარნაოზ ხოსიასძე ჟღენტმა—2 მან., აზ. მაქსიმე ნიკ. გუგუნავამ—5 მან., ვლადიმერ ივ. უნგიაძემ—2 მან. ამ შემოწირულებას დავადე ჩემი 50 მან., მაგრამ ამითი შემდგარი ჯამი 262 მან. არ ჰფარავს იმ ხარჯს, რომელიც მოუნდა სკოლის შენობასა და იმისს მოწყობას.

ჯვარცხმის მაცხ. ეკ. მღ. ილარიონ მგალობლიშვილი.


## განცხადებანი



(11—მ.—4)

### საყურადღებოა ავადმყოფთათვის

**ვისაც ძარღვი აწუხებს** (იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ძვალი დასივდება), **კუჭის ავადმყოფობა, ბუასილი, ნაფაზი, სისხლნაკლებობა** და საზოგადოდ **გაციებულთათვის** ყველა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ძლიერ კარგია სახელ-განთქმული ეგრედ წოდებული „კუზმიჩის ბალახი“ („Кузьмичева трава“), რომელიც ძლიერ ბევრი იყიდება.

ნამდვილი „კუზმიჩის ბალახი“, ახალი, დაბეჭდილი ტილოს პარკებში, ფესვებით და ნაყოფით. მასში დაკრეფილი, მეტად-სუნელოვანი, მივიღეთ ტფილისში და იყიდება **მხოლოდ** შემდეგ სააფთიაქო მაღაზიებში: როსტომოვისა, პუშკინის ქუჩაზედ; პაპოვისა, ვარანცოვის ხიდთან; არისტაკოვებისა, ვარანცოვის ძეგლთან და მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 104; იშხანოვისა; ოჰანესიანცისა (მიხეილის ქუჩა); ფოსსისა; ფირალოვისა (ოლგას ქუჩა), ჯანაგოვისა, რიყის მოედანზედ; და აფთექებში: ალმუროვისა, კამოცკის და პერლოვის ჩაის მაღაზიაში, პუშკინის ქუჩაზედ. (4—171—4) ა

### იძლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზე, საგინაშვილის სახლში, № 21. ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობებით.

10—10

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Ѳ. Жорданія. . | | 30 |